

მოკლე აღწერა: ერთი გერმანელი და ერთი ქართველი სტუდენტი ხვდებიან ერთმანეთს უნივერსიტეტის ეზოში და გაემართებიან სასადილოსკენ. აქვე გერმანელი სტუდენტი – მარინა, უხსნის ქართველ სტუდენტს – ნათიას, თუ როგორია სასადილოს სისტემა.

დოცენტი: – დღეისათვის სულ ეს იყო...მომავალ შეხვედრამდე!

ავტორი: № 1 აუდიტორია, 11: 30 საათი, მეორე ლექცია უკვე დასრულდა. კველას შია. აბა ახლა საით? ეს კითხვა უტრიალებს ამ წუთას უნივერსიტეტ – აუგსბურგის ათასობით სტუდენტს. მათ შორის არიან მარინა და ნათია, ერთ-ერთი ქართველი სტუდენტი.

ნათია: ოჰ.. შესვენება გვაქვს როგორც იქნა..

მარინა: ისე მშიაა...არ წავიდეთ სასადილოში??

ნათია: დიდი სიამოვნებით.. თან იქ ჯერ არც ვყოფილვარ და თან მასწავლე აბა იქამდე გზა.

ავტორი: უნივერსიტეტ-აუგსბურგის სასადილოს შენობა, ამჟამად რემონტშია, ამიტომ მარინა და ნათია, სხვა გზით მიდიან სასადილოსკენ, კერძოდ: ისინი მიდიან აუდიტორიების ცენტრის შენობიდან მარცხნივ, ინფორმატიკის ფაკულტეტის, შენობა „ლ“ – ის გავლით, გადაკვეთენ ქუჩას და შეუხვევენ მარცხნივ. იქვე, მარჯვენა მხარეს, არმისული გზაჯვარედინამდე, დგას კარვის ფორმის თეთრი შენობა. ეს არის ე.წ. სასადილო კარავი, რომელშიც ზემოთ ხსენებული სარემონტო სამუშაოების გამო, სასადილო დროებით განათავსეს

მარინა: ნათია? გაქვს უკვე სასადილოს კარტა?

ნათია:აააარა.. ეგ რა არის? მჭირდება ეგ?

მარინა: სასადილოს კარტა გჭირდება, სასადილოში და ასევე კაფეტერიაში რამე რომ იყიდო და ისადილო. შეხედე რამდენი ხალხი ტრიალებს. წარმოიდგინე სალაროსთან ყველა ერთდროულად ფულის ძებნას რომ დაიწყებდეს, რამდენ დროს წაიღებდა. კარტით ბევრად სწრაფად ხდება.

ნათია: ჰმ..პრინციპში მართალია ..

მარინა: ხედავ.. ამიტომაც ვიხდით სასადილოში და კაფეტერიაში კარტით. კარტა შეგიძლია როგორც სასადილოში დახლთან, ასევე კაფეტერიაში სალაროსთან

შეიძინო, მაგრამ როცა უკვე კარტა გაქვს, სანამ რამის საყიდლად მიხვალ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ზედ საკმარისი თანხა გაქვს ჩატვირთული,

ნათია: აბა ეგ საიდან მეცოდინება. ხომ იცი .ეგეთ რაღაცეებს ძნელად ვიმახსოვრებ ,,

მარინა: თუ იმის გადამოწმება გენდომება, საკმარისი თანხა გაქვს თუ არა, იქვე არის ავტომატი, რომელიც თანხის რაოდენობას გიჩვენებს. ამავე ავტომატით შეგიძლია თანხის ჩატვირთვაც,

ავტორი: ნათია და მარინა გაემართნენ სასადილოს დახლისკენ. ნათიამ იქვე შეიძინა კარტა, ჩატვირთა 10 ევროს ოდენობის თანხა და ჩადგნენ სასადილოს რიგში.

ნათია: მარინა? რა საჭმელებია აქ ძირითადად?

მარინა: შეხედე ზემოთ! პროექტორი გიჩვენებს რა არის დღეს მკნიუში. ამასთან შეგიძლია სახლში ინტერნეტით შემდეგ ვებ-გვერდზე <http://web.studentenwerk-augsburg.de>, და შემდეგ რუბრიკაში ,, კერძები და სასმელები,, თავადაც ნახო, მომდევნო კვირას მენიუში რა იქნება. ისე ყოველდღე არის ორი სახის კერძი, აქედან ერთი ვეგეტარულია. ამასგარდა, კიდევ არის სალათები და მაკარონის ნაწარმი, ასევე დესერტიც.. შეგიძლია ის მიირთვა რაც გსურს. რაც შეეხება ფასებს, ფასები მართლაც დაბალია.

ავტორი: მარინამ და ნათიამ აირჩიეს სასურველი სადილი, გადაიხადეს სალაროსთან და ადგილიც მოძებნეს სასადილოს დარბაზში.

მარინა: აბა გემრიელად მიირთვი!

ნათია: შენც ასევე ... ჰმ... ძალიან გემრიელია..ყოველთვის ასეა?

მარინა: კი.. ანუ ამ ფასად მართლაც გემრიელია. ხანდახან შეიძლება მოხდეს ისე, რომ არ მოგეწონოს გემოთი, ან ჰიგიენის მხრივ არ მიგეწონა რაღაც, შეგიძლია ასევე ამ ვებ-გვერდზე <http://web.studentenwerk-augsburg.de> შენი მოსაზრება გამოხატო.

ავტორი: სანამ გოგონები სადილობენ, შესვენება თითქმის უკვე სრულდება.

ნათია: ჰჰჰჰ.. მართლაც გემრიელი იყო. ახლა მე ორი ლექცია კიდევ მაქვს, ამიტომ მოდი შევხვდეთ ისევ აქ დაახლოებით 15:00 საათზე ყავის დასალევად.

მარინა: სასადილო მხოლოდ 11:00–დან 14:00 სთ–მდეა ღია, ამიტომ შევხვდეთ კაფეტე–ში.

ნათია: „კაფეტე, რა არის?

მარინა: კაფეტე ჰქვია ძველ კაფეტერიას, რომელიც შენობა „დ“ –ში მდებარეობს. როდესაც აუდიტორიების ცენტრის შენობაში შეხვალ, აუყევი დამრეც იატაკს ზემოთკენ, შემდეგ გაივლი შენს წინ მდებარე შუშის კარს და უკვე კაფეტერიაში ხარ. ხოლო ახალი კაფეტერია, ასევე იმ შენობაშია, სადაც ამჟამად სასადილოს რემონტი მიმდინარეობს.

ნათია: კარგი.. ეს უფრო ადვილი მისაგნები უნდა იყოს.. და ნამცხვარი? ყავა? მაგდაგვარი რამეები არის იქ?

მარინა: რა თქმა უნდა. ასევე პიცა, ფუნთუშები, შოკოლადები და სხვადასხვა სასუსნავი, ლექციების შუალედებში ცოტა თავი ენერგიაზე რომ მოიყვანო. ამასგარდა სასადილოს რომელიმე ერთი კერძი აქაც არის.

ნათია: მართლა? მაშინ არ გვჭირდება იმხელა გზაზე ვიაროთ.

მარინა: (სიცილით) მართალი ხარ. მაგრამ ასე თუ შევხედავთ, აქვე ტრამვაის გაჩერების იქითა მხარეს პიცერია, ასევე თურქულ სასადილო და ფუნთუშების საცხოვრებელი არის. ანდა სწრაფი კვების ჯიხური, რომელიც აგერ ბორცვზე დგას, ეკონომიკურ–მეცნიერებათა ფაკულტეტის შენობის წინ. მას შემოკლებით „WIWI“ * უწოდებენ.

ნათია: აბა მაშინ დიდი არჩევანის საშუალება გვქონია.

მარინა: მაგრამ რაც შეეხება ფასებს, სასადილო და კაფეტერია ყველაზე შეღავათიანია.

ნათია: თან თუ ყოველთვის ასეთი გემრიელია როგორც დღეს.. უი! სადაცაა მალე ჩემი ლექცია დაიწყება..

მარინა: კარგი მაშინ გაიქეცი, არ დააგვიანო. ისე აქ შენი თეფში თავად უნდა აალაგო მაგიდიდან, მაგრამ ამას ახლა მე ვიზამ შენს მაგივრად.

ნათია: დიდი მადლობა და შევხვდებით დღეს კაფეტერიაში

მარინა: აბა დროებით!

ავტორი: მარინა და ნათია უკვე გაერკვნენ, თუ რა კულინარიულ ნაწარმს აუგსბურგის უნივერსიტეტი სთავაზობს. კველა დანარჩენში კი შეგიძლიათ თავად გაერკვეთ. ჩვენ კი თქვენ სიამოვნებით გისურვებთ „გემრიელ სადილობას.“

შენიშვნა:

* WIWI – აბრევიატურა მოდის სახელწოდებიდან „wirtschaftswissenschaftlich“

ავტორები: ნათია ციყელაშვილი და მარინა ედელმანი

Übersetzt von
Natia Tsikelashvili